პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტ

№ 184 (7495)

25 სექტემბერი, კვირა. 1983 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 18 აპრილიდან

ვეტერანები კვლავ მწყობრში არიან

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური პრობლემა

გუშინ დილით საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა წარმომადგენლებმა ცოცხალი ყვავილების გვირგვინი შეამკეს პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

სურათზე: საქართველოს სპორტის ვეტერანები ვ. ი. ლენინის ძეგლთან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში ბევრი პრობლემა და გადაუჭრელი საკითხი დადგა დღის წესრიგში, მათი კომპეტენტურად, საქმის ცოდნით და სწორად გადაწყვეტა, უდაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილი ადამიანების, ჩვენი სპორტის ვეტერანების აზრს, მათს ავტორიტეტულ სიტყვას. გულახდილი საუბარი მათთან, ვინც მიიღო ახალი ცხოვრების მშენებლობის უნაკლოური გამოცდილება, კარგ ტრადიციად იქცა ჩვენში. სწორედ ასეთი გულითა, საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა გუშინ თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო კომპლექსის საკეტ დარბაზში საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა კრებაზე.

აქ მოვიდნენ წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენები, მწვრთნელები, სპეციალისტები, სპორტულ ფედერაციათა წარმომადგენლები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის აქტივისტები, ჟურნალისტები — ისინი ვინც მხარი უდგას ქართულ სპორტს და რომელთაც, ბუნებრივია, დიდად შეტკივათ გული მის ხვალინდელ დღეზე.

შეკრება გახსნა და დამსწრეთ სიტყვით მიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **რ. გოგლიძემ**, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სპორტის ვეტერანების, დიდ გამოცდილებისა და ცხოვრებისეული სიბრძნის მქონე ადამიანებთან მოთათბირების აუცილებლობას.

მომხსენებელმა ილაპარაკა რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მართვის სისტემის, ნაკრები გუნდების მზადების, მწვრთნელთა დახელოვნებისა და სხვა პრობლემების შესახებ, შეეხო ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაჭრას ფართო აქტივთან, განსაკუთრებით კი სპორტის ვეტერანთან ერთობლივ, ხელსიხლჩაყიდებულ შემოქმედებაში.

საქმიანი, კონკრეტული წინადადებები გამოვიდნენ სპორტის ვეტერანები: საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **ო. დადუნაძემ**, სპორტის ოსტატი ვ. **ყიფიანი**, სპორტის დამსახურებული ოსტატები **ზ. პაიჭაძე**, **ვ. ხანეევი**, **ე. გოგიელი**, **ვ. ბალავაძე**, **გ. შავაცაძია**, სპორტის ვეტერან ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი **თ. გოთუა**, სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ სახელო არტისტი **ზ. ქვერენჩილაძე**, რესპუბლიკური კრებგორიის მსაჯი, ბოქსობის რაიონის სპორტის ვეტერანთა წარმომადგენელი **ვ. გელაშვილი**.

კრების შედეგები შეაჯამა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ რ. გოგლიძემ.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური კრების მონაწილეებმა მილიონ მიმართეს საქართველოს სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპორტის სპეციალისტებისადმი.

სურათებზე: ვეტერანთა კრების დარბაზში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

„გორდა“ მოელის თანამოძმეთ

როცა კაცი რომელიმე საყვარელ საქმეს გაასრულებს, ასაკის მიუხედავად იგი ვეტერანად იწოდება. მე, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობ სპორტის ვეტერანებს, იმათ, ვინც სავსებით ახალგაზრდა (ცხოვრებისათვის) ტოვებს სარბენელს, რათა სხვა ამპლუაში გააგრძელოს მოღვაწეობა. ვისაც ეგ განცდა ჰქონია, იგი დამეთანხმება, რომ ატეტური სპორტსმენობიდან ვეტერანად გადაქცევას თავისებური სევდაც ახლავს. მაგრამ ეს სევდა შეფერილია ახალი აზრით, ახალი მიზნით. და ამ მიზანს, ამ აზრს ჰქვია ვეტერანის მარადიული კავშირი თავისი სიჭაბუის უბინაველესი სივაჟკაცის ობიექტთან. ეს ავსებს ყოფილი სპორტსმენის გულს, ეს აზრი ანუგეშებს მას, როცა სცილდება ატეტურ სპორტს მისთვის, რომ ახლა თვით გახდეს თუ მწვრთნელი არა, მიზანი თითის დამრიგებელი.

სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით როცა ვეტერანები, ცხადია ახალგაზრდებთან ერთად ვაარსებდით ქართული სპორტის ისტორიაში პირველ კლუბს, მოფარიკაჭეთა ორგანიზაციას „გორდას“. ამ კლუბის დაარსება და ჩვენი, აწ უკვე ვეტერანების, ხელახალი გაახალგაზრდავება ერთი იყო. ჩვენ ვიგრძნობთ ხალხს, სახელოვანი ისტორიის დიდი მხარდაჭერა და სიყვარული,რამაც კიდევ უფრო დაგვაწრფუნა კლუბის შექმნის თავიდანვე ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილების მართებულობაში. და ეროვნულად ვიგრძენით საოცარი რამ: ყოფილი მოფარიკაჭეებიდან ინტერესი თუ მსახიობი, ჟურნალისტი თუ ხელოვანი, ექიმი თუ მეცნიერი, სულერთია, ყველა ჭირიდებით ფარიკაობას, ხელახლადვე ქართველ მოჭიდაკეებს, ჩვენს სპორტს. ამ აზრის გამდიდრი ჩვენი ცხოვრება, რაღაც ახალი შემოტანა თითოეულ ჩვენგანში.

„გორდა“ არსებობს, „გორდა“ მოქმედებს, „გორდა“ ასრულებს დანაპირებს. შესაძლოა, ჯერ ჩვენს საქმიანობას არა აქვს დიდი მასშტაბი, მაგრამ საქმე წამოიწყეთ და ხვალ-ზეგ შეიგრძნობ ხალხს, საზოგადოებრიობის დიდი მხარდაჭერა და სიყვარული.

ჩვენ, მოფარიკაჭეებმა, მოვახერხეთ და გადავლახეთ რუბიკონი, მაგრამ არ გვინდა გავიმარტონი ვიყოთ. დიდი სურვილი გვაქვს „გორდას“ დარად სპორტის სხვა სახეობებშიც შეიქმნას კლუბები, რომლებშიც გაერთიანდებიან უფროსი და უმცროსი თაობის სპორტსმენები. მით უმეტეს, რომ ქართულ სპორტს დღესდღეობით მაინც და მაინც არ ულხინს და ამიტომ განსაკუთრებით სჭირდება ვეტერანთა ცოდნა, გამოცდილება და ავტორიტეტი. ეს შეადლებებს ჩვენი სპორტის აღაფლა დაბზარულ შენობას, კვლავ დაუბრუნებს მას ოდინდელ დიდებას.

ამით, მერწმუნეთ, არაკინ წაგებს.

ზინა ავერინჩილაძე,
საქართველოს ორჯერ ჩემპიონი ფარიკაობაში, საქართველოს სპორტკომიტეტთან არსებული რესპუბლიკის მოფარიკავეთა კლუბის „გორდას“ პრეზიდენტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

ბრძოლა კლასიკური ჭიდაობისათვის

FILA КИЕВ 1983

ЧЕМПИОНАТ МИРА

მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

თეიმურაზ ავხაზავა მსოფლიო ჩემპიონია

როცა ეს წერილი ლითონში ჩამოისხმება, მსოფლიოს 5 ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილი იქნება. გაზეთის სპეციფიკა, რადიო-ტელევიზიისაგან განსხვავებით, საშუალებას არ იძლევა გულშემატკივრებთან უშუალოდ ტრიბუნიდან დაამყაროს კონტაქტი, ამიტომ ამჯერადაც იძულებული ვარ გუშინდელი შთაბეჭდილებები, მოძველებული ინფორმაცია შევთავაზო მკითხველს. იმავე ტელევიზიამ თქვენ უკვე გაუწყათ პირველი 5 ფინალური ჭიდაობის შედეგები, წარმოგიდგინათ პირველი ჩემპიონებიც, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის თეიმურაზ ავხაზავც იქნება. თვითონ რას ფიქრობს?

ფინალისწინა შეხვედრა რომ მოიგო, მინდოდა ჩასულელეყვაე და გავსაუბრებოდი, მაგრამ თავი შევიკავე: შეჯიბრების დაწყებამდე შეიძლება ორიოდე სიტყვა წამოცდეს, მაგრამ შემდეგ, მით უმეტეს, გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინ, როცა მიზანდე ერთადერთი ნაბიჯია და გრძნობა-გონება მთლიანად აქეთკენაა მიმართული, ძნელად თუ ამჩნევენ ჭრამს... ილია ბობოხიძესთან დავრეკე: მითხრეს, ბაქუმთანაა, შინ რა გააჩერებდაო.

ილია ბობოხიძე თემურის მწვრთნელია, ნაღდი ქუთაისელი კაცი. ამ სამოიდე წლის წინ გავიცანი რისტოფში, სსრ კავშირის ჩემპიონატზე. მაშინ პირველად ვნახე ავხაზავის ჭიდაობაც. IV ადგილი დაიკავა და დამნაშავესაეთ ამეორებდა: შედარი როგორ უცერ წვედიც ქუთაისშიო. უკვე მერამდენედ დამარცხდა კორბანთან და ბევრს ეგონა, რომ საერთოდ ჩაიშენებდა ხელს ჭიდაობაზე, მაგრამ გავიდა კიდევ ორი წელიწადი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 27 წლისას აუხდა ბავშვობისდროინდელი ოცნება. ამ ასაკში ბევრი უკვე ტოვებს აქტიურ სპორტს, მაგრამ ავხაზავის წასვლაზე არ უფიქრია. კიდევ დარჩა სათქმელი და იმიტომ. აქ ერთ მომენტს მინდა გაეუსვა ხაზი: მე ვეთანხმები იმას, ვინც ამტკიცებს, რომ უმეტეს შემთხვევაში საკვირო პირველობის

(დასასრული გე-4 გვ.).

• • •

სურათზე: 1983 წლის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში თ. ავხაზავა.

სოფლის სპორტი:
პრობლემები, პერსპექტივები

მასალაკეთში რომ ჩაეყოფით, სპორტმოტატის თავმჯდომარე ოთარ ქიმბისკი სოფელ ჯანიეთში დაბადება წასულა. სპორტული მოეცილებოდა ლალათიერებლად წაედოო. ვეში ჯანიეთისკენ აგიდეთ...

— დალაშქრული, ფრენებურთის, სპორტსმოტ ორ-ორი და ფეხბურთის ერთი მინერის. სტანდარტული ზომები უკვლად დაცულია, მოედნები მოსსდატებული (ფეხბურთის მინდვრის გარდა). 2 ჰექტარი ტერიტორიის ხანგრძლივ მეტ რკინის ღობით მესერითაა შემოკავებული. მაყურებლისათვის ბეჭიერ საკმაოდაა დაცმული. ეს უკეთილი სოფლის კეთილდღეობის საქმეში ნაბიჯია. ძალისხმევაში საქართველოს ფრენბურთის მეგობრების ეალერთან შეიძლება ინიციატიული გაეცნოთ ელოს ეგდენრობით, ჯანიეთის მაგალითი

გზად გაკიჟვარში

ბეგრისათვის მისაბაძი უნდა იყოს! მახარაძის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას რომ ეკუთნოდეთ, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რაიონში ფეხბურთის განვითარების პრობლემებმა. პირველ რაკურსში და რაიონისამთო ორი წლის წინათ ერთობლივად შეუდგნენ ამ საქმის გადაწყვეტას რაიონის ყველა სკოლაში ფეხბურთის ფასიანი სექციების გახსნის შესახებ. ამასთან რაიონულ ცენტრსა და სტადიონ ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლის შექმნაზე.

ვაკიჟრის სკოლის ნაკრები გუნდები წელს კარგად გამოვიდნენ რაიონულ პირველობებზე მძლეთ სნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში (II ადგილები), ფრენბურთში (III ადგილი). საერთო მაჩვენებლით რაიონის საშუალო სკოლებს სპორტულ პიეპრობაში ისინი თითქმის ყოველ წელიწადს პირველ სამეულში იმყოფებიან.

წელსაც 120 მშობლისაგან და 50 სპორტსმენ-ახალგაზრდისაგან მომზადდა.

— ცურვის მეიზრე ნანანგზეც ვისწავლით ნორჩებს — გვეუბნები ავაკი სიამოვნით.

ხალისით დადიან ვაკიჟარელი მოსწავლეები ტურისტულ ლაშქრობებზეც: ქორიბუდეში, სოფლიაში, ასანის ციხეზე, შემოქმედის მაჩატარებელი და სხვა. ტურისტულ ლაშქრობებს კინოსპორტიდან ალებენ და მერე სკოლის საკტო დარბაზში ეერთნენ ნახულობენ გამეღილ კინოშტრიხებს.

აკვარები რაიონულ პირველობაზე ზედიზედ 2 წელიწდაა ჩემპიონობას არავის უთმობენ სამნელოდ. ქორიბუდეში, სოფლიაში, ასანის ციხეზე, შემოქმედის მაჩატარებლი და სხვა ტურისტულ ლაშქრობებს კინოსპორტიდან ალებენ და მერე სკოლის საკტო დარბაზში ეერთნენ ნახულობენ გამეღილ კინოშტრიხებს.

აკვარები რაიონულ პირველობაზე ზედიზედ 2 წელიწდაა ჩემპიონობას არავის უთმობენ სამნელოდ. ასანის ციხეზე, შემოქმედის მაჩატარებლი და სხვა. ტურისტულ ლაშქრობებს კინოსპორტიდან ალებენ და მერე სკოლის საკტო დარბაზში ეერთნენ ნახულობენ გამეღილ კინოშტრიხებს.

„სინათლე“ და „თბომავალი“

ბათუმში დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს თასის გათამაშება ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულებებს ალეათეთრეულ ეიყვნა და ჭალთა გუნდებს შორის.

ასპარეზობაში ყველა ჯგობეს და თასები დაისაკუთრეს თბილისის სპორტკლუბ „სინათლის“ („სპორტაკი“) ვაჟთა და ქეთაისის სპორტკლუბ „თბომავალის“ („ლოკომოტივი“) ქალთა გუნდებმა. ვაჟთა შორის II ადგილზე გავიდა ქუთაისის ბმრეშმსაქსოვი გაერთიანების („გამთაღი“) გუნდი, მესამეზე — ტყიბულის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის („კოლეჯურნალ“) კოლექტივი. ქალთა შორის II-III ადგილებზე მეორედ ერთად გავიდნენ ქუთაისის ბმრეშმსაქსოვი გაერთიანების („გამთაღი“) და ბათუმის ფრენბურთის სკოლის („ბათუმელი“) გუნდები.

ხვალ თბილისში სტარტს იღებს სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა XXII ჩემპიონატი.

„ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში

თბილისის ტურში ისპარსებიან ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები — მოსკოველი არმეელები, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის მფლობელნი — ბაპორტელები სტუდენტები, სამჭოთა ხელბურთის ერთერთი პირნერები — გრანიტასელები კაუნასიდან, რიგის „ცელტნიეკის", ხელოვანების „პოლიტის" და თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელები.

მომავალი ჩემპიონატი განსაკუთრებულია, რადგან „ოლიმპიური საზომით" ჩაიმვება — ოსპანჯელში ხომ ჩვენს ხელბურთელებს მოუწევთ უკანასკნელ წოვებში მოპოვებული წარმატებების დაცვა. იმ წარმატებებისა, რომელთა ნუსხა საკმაოდ შთამბეჭდავია.

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბის არც ერთი ტიტული არ დარჩენია, ჩვენს ხელბურთელებს რომ არ მოეპოვებინათ, — ოლიმპიური ჩემპიონება, მოსკოვის ოლიმპიადის ვეტერანის პრიზიორება, მსოფლიო ჩემპიონები, მსოფლიოს თასის ხმფლობელნი... სასიხარულოა, რომ იმ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მოიძღვნის ქართული ხელბურთის დედარ ტრადიციებზე აღზრდილს, თბილისის „ბურევესტნიკის" ლიდერს ა. ანდილოგოვს.

ხელბურთის მოყვარულნი ინიალავენ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატებს, სპორტის დაამსახურებულ ოსტატებს — ა. შაპენკოს და ს. კუშნირუკს, ი. კიდიაშვილ და ა. ფედოტკინს, ვ. ნაგიცკასს, მრავალ ოქროსმედლიანს ახალგაზრდა ხელბურთელ დღეს.

მაშ ასე, ხვალ „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან:

16 საათსა და 30 წუთზე „ცელტნიეკი" — „პოლიტი".

18.30 — „ბურევესტნიკი" — ცსკა.

20.00 — ზიი — „გრანიტასი".

18.00 — ტურნირის საზეიმო გახსნა.

გთავაზობთ მომდევნო დღეების თამაშების განრიგს.

27 სექტემბერი. 16.30 — „ცელტნიეკი" — ზიი.

18.30 — „გრანიტასი" — „ბურევესტნიკი".

19.30 — „პოლიტი" — ცსკა

28 სექტემბერი. 16.30 — ზიი — „პოლიტი".

18.00 — „ბურევესტნიკი" — „ცელტნიეკი".

19.30 — ცსკა — „გრანიტასი".

29 სექტემბერი თავისუფალი დღეა.

30 სექტემბერი. 16.30 — „პოლიტი" — „გრანიტასი".

18.00 — ზიი — „ბურევესტნიკი".

19.30 — „ცელტნიეკი" — ცსკა.

1 ოქტომბერი. 10.00 — „გრანიტასი" — „ცელტნიეკი".

11.30 — ცსკა — ზიი.

13.00 — „ბურევესტნიკი" — „პოლიტი".

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის ხაპატიო ოსტატი.

● ბადრაკი

სტარტი აღებულია

ქუთაისი, 24 სექტემბერი(ტელეფონით „ლელოს" კორ.). სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ქუთაისის ნახევარფინალზე გუშინ დამთავრდა გადადგმული პარტიები.

მთელ საღამოს გონქლდებოდა ლ. პაორნაუე (პაორნე) — თ. ხუგაშვილის (თბილისი) შეხვედრა და ბოლოს ყაიმით დამთავრდა. ასეთი ვე შედეგით დასრულდა ს. ბაბაიგა (მოსკოვი) — ც. ჭასშვილის (გორი) და ჰ. ლაგვილავა (ქუთაისი) — საერთაშორისო ოსტატ თ. მირნაძის (მოსკოვი) პარტიები.

ორი გამარჯვება იზეიმა ი. ჩელუშინამ (ლვოვი). მან დაამარცხა ტ. ფომანა (ტალინი) და ო. ლაპატინა (მოგილიოვი).

ჭასშვილმა მოიგო ლაგვილავას, კ. ბაგნისკატემ (ვილნიუსი) — ი. უმბასკიას (მოსკოვი) და ლ. კულაკოვამ (ერევანი) — ბაბარეკას. ხუთი პარტია კვლავ გადადგა.

3 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ც. ჭასშვილი, ი. ჩელუშკინა — 2,5-2,5 ქულა, ლ. კულაკოვა, ო. პეტკო (ჩელიაბინსკი) — 2-2, თ. ხუგაშვილი — 1,5(1) ჯ. ლაგვილავა — 1,5.

ლ. ფაიფუშვილი.

კვლავ ნარმატება

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის შეორე მატჩებშიც ერთნაირი ანგარიშით 3:1 დაამარცხეს შეტოქვეები: ქალებმა როსტოკში სძლიეს ბულგარეთის ნაკრებს — 12:15, 15:8, 15:10, 15:10, ხოლო ვაჟებმა ბერლინში დაამარცხეს ტალინელები — 10:15, 15:5, 15:13, 15:5.

საპრიგო აღგილებგე

კიევის ოლიმპიურ ბაზაზე გაიმართა „ლაკომოტივის" ცენტრალური სპორტის პირველობა ჭიდაობა სამჭიში. შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობდა. საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის რკინიგზის ნაკრებმა. ჩემპიონები გახდნენ შ. ფანკანაძე (57 კგ) და ფ. წიწილაშვილი (82, ორივე — ქუთაისი). III საპრიზო ადგილები დაიკავეს ჯ. ფიფიძემ (48), ვ. ხაჩანიშვილმა (100, ორივე — თბილისი), დ. გაბენიამ (52), ბ. ჭოლაძემ (62) და ა. კახაძემ (+100, ყველა — ქუთაისი).

აღიარება

საბჭოთა ძმლვანის, მსოფლიო რეკორდსმენი თ. ბაყოვა და ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონი სპრინტში ჯ. ლუისი 1983 წლის ზაფხულის საზრის მიხედვით იტალიის საუკეთესო სპორტსმენებად აღიარეს. კომისიამ, რომელმაც ეს გადაწყვიტა, შეიტანა 18 წევრისგან ეკუთნილები. სეზონის საუკეთესო ტრენერად — სპორტსმენი, რომელიც ხელმძღვანელობდა ეკატერინა ვოსკობოევას, მიიჩნიეს კანადელი ტრენერი დ. ჯარვისი.

თეიმურაზ აფხაზავა მსოფლიო ჩემპიონია

დასასრული

მოგება უფრო ძნელია, ვიდრე ევროპაისა და მსოფლიო ჩემპიონატებისა (სხვათა შორის, ამ აზრს ბევრი უცხოელი სპეციალისტიც იზიარებს). რა თქმა უნდა, ეს ამბავი არაა და არაც ჩრდილს არ აყენებს ჩვენი ფალავანების გამარჯვებებს მსოფლიო სარინგზე, უბრალოდ, ჩვენი საქიდაო სკოლის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს. რამდენი მოჭიდავე ვეცი, უმალოეს სპორტულ ტიტულებს ფლობდა, პანია კავშირის ჩემპიონი კი არ ყოფილა. თეიმურაზ აფხაზავა დიდხანს იკაფავდა გზას „მაღალი საზოგადოებისაკენ", და რაკილა ეს მოახერხა, დიდი გამარჯვებებიც მოვიდა: წლეულს პრაღაში ევროპის ჩემპიონი გახდა, მართალია, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა ვერ მოიგო, მაგრამ ნაკრებში მისი პრიორიტეტი არ დაცემულა. ამ ნარებისთვის კი გულდაგულ არჩევენ ბიუჯს. უფრისი წყრთნელის გენიალი სენთოვის სიტყვებია: „ჩვენი კრიტიკოები მარტო სპორტი შედგება არ არის. ოსტატობა თანისთავად, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ სპორტსმენის ხასიათს. საერთაშორისო სარბიელზე გამარჯვებას ან ორი კომპონენტის ერთობლიობა განსაზღვრავს".

ბ. აფხაზავამ არაერთხელ გამოაცხადა შეეფრეკვილი ხასიათი, აფხაზავაც და იმ ბიუებმაც, რომლებიც საბჭოთა გერნანიაში ჩახით გამოდიან კვეში. რა თქმა უნდა, ხასიათი თანისა ქანრები აქვს და მარცხისგან არავინაა დაზღვეული, ზოგიერთმა ვეც ვიიბორძეა კიდეც, მაგრამ უმრავლესობა დამკერებლად მიიწევს კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურებისკენ. აფხაზავეც მათ შორისაა, უფრო სწორად, სულ ახლოსაა მისაზანთან — ერთი, ერთადერთი ნაბიჯიღა დაჩრა.

წინასწარ შეხვედრებში ქუთაისელ ფალავანს მაინდამაინც დიდი ჯაფა არ დასდგომია. პირველი დღის ორთაბრძოლებზე უკვე მოგთხრობდით. IV და V წრეში აფხაზავამ პირველსავე პირობაში მოათავა სამქი — ჯერ 1 წუთსა და 44 წამში ბეჭებზე დასცა ოუგასლავიელი კარონ კოპანი, შემდეგ კი ვფრ-ის ჩემპიონის ზიგფრიდ ზიმბოლეის დასამარცხებლად 2 წუთი და 27 წამი დასჭირდა. ვერ გეტყვით, უკანასკნელი ორთაბრძოლა ეიოფორბე თუ აღებენა ვინმემ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩვენმა ფალავანმა ჭიდაობის ნამდვილი გაკეთილი გვიჩვენა. პირველივე უკანასკნელ წამამდე, ვიდრე 12-ქულიან უპირატესობას და წმინდა გამარჯვებას მოიპოვებდა, ტრიბუნაზე ტაში არ შეწყვეტილა. ამ მომენტისათვის უკვე ცნობილი იყო მეორე ფინალისტის ვინაობაც. წინა რეპორტაჟში გწერდი, რომ პირველ საშეალო წონაში ალბათ აფხაზავა და დრეგა შეხვდებიან-მეთქი ერთმანეთს. ასე ფიქრობდა ყველა, ვინც ამ ორი ფალავნის ძალას და ოსტატობას იცნობს. პროგნოზი არ გამართლდა — ფინალში აფხაზავა და შვედი ლენარდ ლუნდელი დაწყვილდებიან. ერთიც არის — აფხაზავამ, როგორც უკვე ითქვა, ეფექტურად გაიკვლია გზა ფინალისაკენ...

• • •

...როცა მკითხველი „ლელოს" ამ ნომერს იხილავს, მსოფლიოს 5 ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილი იქნება. თქვენთან ერთად ძალიან მინდა, რომ მათ შორის თეიმურაზ აფხაზავის გვარიც იყოს.



გუშინ...

ორი ქართველი ფალავანი უნდა გამოსულიყო ხალიჩაზე მხოფლიო ჩემპიონატის მედლების მოსაპოვებლად. თეიმურაზ აფხაზავა „ოქროსთვის", თემო ყანჩაველი — „ბრინჯაოსთვის". ყანჩაველმა ოთხჯერ მოიგო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი — წუთსა და 27 წამში დაამარცხა იაპონელი ფ. ხაჯი. რაც შეეხება აფხაზავას, მეტოქეს ლენარდ ლუნდელს, მან საერთოდ ვერ განაცხადა ჭიდაობაზე. ამრიგად თეიმურაზ აფხაზავა (წყვრონელი ი. ბოპოხიძე) უკვე მხოფლიოს ორგზის ჩემპიონია!

ე. გეჩიაშვილი,
(„ლელოს" სპეც. კორ.).

კიევი.

• • •

სურათზე: კლასიკური ტანლით მოჭიდავეთა 1983 წლის მხოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ო. ყანჩაველი.

კვლავ ლარი ჰოლმსი

ატლანტა-სიტი გაიმართა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. მსოფლიოს ჩემპიონი ლარი ჰოლმსი (აშშ) შეხვდა პრეტენდენტს, თანამემამულე ფრენკ სკოტს.

ჰოლმსი მსოფლიოს ჩემპიონობას ინარჩუნებს 1978 წლიდან, როცა მან სძლია კენ ნორტონს. როგორც პროფესიონალმა, ჰოლმსმა, ამ შეხვედრამდე ორმოცდაათ ბრძოლა შეწყვიტა და ჰოლმსი გამარჯვებულად დატოვა ბრძოლის ასპარეზი. ჰოლმსმა მეცნიერმედიცინურ დაიცვა თავისი წოდება.

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შეიდა „სპორტლოტოს" მორიგი, 39-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 3 (ბიშლეკი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 18 (მძლეოსნობა), 30 (ძალოსნობა), 36 (საავიაციო სპორტი), 40 (ბადმინტონი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 6 (ძიუდო), 20 (აგროსნობა), 22 (წყალში ხტომა), 29 (სასტენიო სროლა), 36 (საავიაციო სპორტი).

სპორტულ ბაზებზე

შეხაურში ხაჭარაველის თახის ფინალი. დღეს. „დინამოს" სტადიონი. **ზოოინჟინურ-ხაკვებრანარო ინსტიტუტი (თბილისი) — „ხაჭარალი" (წყალტუბო).** დასაწყისი 16 საათზე.

ხაჭარაველის პირველობა. ოქროყანა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი" (ცხინვალი).** 17 სთ. „სისხლოს" სტადიონი. **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ხპარტაკი" (ცხინვალი).** 13 სთ.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ხაქართველოს კპ ცკ-ის ბაეოცველობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სპეციალური ხაკინძო ქარხანა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. ტიპაჟიდან ოფსეთული წესით ხაბეჭდი კორპუსში, ბიუხაკალის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 შეკვეთა 3. № 14. ტირაჟი 35000 — 07810